ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 8 დეკემბრის რიგგარეშე სხდომის

**დღის წესრიგი**

1. „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21 დეკემბრის N30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

**მომხს: ვლადიმერ გელაშვილი**

**თანამომხს: ვარლამ ჭიპაშვილი**

საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის

შემსრულებელი დავით კიკნაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 8 დეკემბრის რიგგარეშე სხდომის

ოქმი N19
2023 წლის 8 დეკემბერი

დაბა ხარაგაული 9 აპრილის ქუჩა #15

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე დავით კიკნაძე
**სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები:** პაატა გოგოლაძე, ამირან ოქრომჭედლიძე, ოთარი ლურსმანაშვილი, მარინე ხვედელიძე, ბესიკ კვირიკაშვილი, პავლე კიკალიშვილი, შმაგი ხიჯაკაძე, შალვა ლურსმანაშვილი, თორნიკე ავალიშვილი, ნონა ზურაბიანი, ირმა ვაქერ - სებისკვერაძე, უშანგი ბერაძე, ქეთევან ზუმბაძე, კიაზო გამრეკელაშვილი, ვერა ოდიკაძე, მერაბ ტალახაძე, ლენა აბაშიძე, ვახტანგ ტალახაძე, ავთანდილ ვეფხვაძე, ავთანდილ კვინიკაძე, ეკატერინე შველიძე, ნანა გორგაძე, ირმა ალხაზიშვილი, კობა გოგსაძე, კონსტანტინე ბერაძე სულ საკრებულოს 26 წევრი.
**სხდომას ესწრებოდნენ:**
**მერიის წარმომადგენლები:**
**ვარლამ ჭიპაშვილი** ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე,
**ვლადიმერ გელაშვილი** მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი.
**აპარატის წარმომადგენლები:**
**ლენა კალანდაძე** საკრებულოს აპარატის უფროსი,
**ნინო თხელიძე** ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში,
**ზაალ ორბელაძე** საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში,
**ივანე ჭიპაშვილი** ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე,
**საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლები:**
**ნ. კაპანაძე** გაზეთის „ჩემი იმერეთის ჟურნალისტი
**ა. ნიქაბაძე** ა (ა) ი, პ. მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრის ჟურნალისტი,
**ი. ბერაძე** მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი
**ასევე ტელევიზიების წარმომადგენლები:** რუსთავი 2, პოსტ ტივი, იმედი, მთავარი, ფორმულა
**მოისმინეს:** სხდომის თავმჯდომარის დავით კიკნაძის ინფორმაცია, მან საკრებულოს წევრებს წარუდგინა სხდომის შემდეგი დღის წესრიგი

## დღის წესრიგი

1. „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21 დეკემბრის N30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

**მომხს: ვლადიმერ გელაშვილი**

**თანამომხს: ვარლამ ჭიპაშვილი**

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულო 26 წევრი.

მომხრე 26

წინააღმდეგი

**დღის წესრიგი დამტკიცებული იქნა (თან ერთვის)**

**მოისმინეს:** ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსის ვლადიმერ გელაშვილის ინფორმაცია საკითხზე „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21 დეკემბრის N30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თან ერთვის).

**აზრი გამოთქვეს:**

**ვ. ჭიპაშვილმა** მერის პირველმა მოადგილემ, რომელმაც თავის გამოსვლაში გაამახვილა ყურადღება წარმოდგენილი საბიუჯეტო ცვლილების ძირითად პარამეტრებზე და უპასუხა საკრებულოს წევრთა შეკითხვებს

**ბ. კვირიკაშვილმა,** საკრებულოს ეკონომიკის ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის საკითხტა კომიმისიის თავმჯდომარემ, რომელმაც აღნიშნა, რომ კომისიამ სხდომაზე განიხილა საბიუჯეტო ცვლილება საახალწლო ღონისძიების290 000 ლარით დაფინანსების შესახებ და მხარი დაუჭირა.

**პ. კიკალიშვილმა** საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, რომელმაც აღნიშნა, რომ სხდომაზე განვიხილეთ ყველა საბიუჯეტო ცვლილება, მათ შორის საახალწლო ღონისძიებების 290 000 ლარით დაფინანსების ნაწილში და მხარს ვუჭერთ.

**თ. ავალიშვილმა** ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" თავმჯდომარემ, რომელმაც აღნიშნა არავინ არის წინააღმდეგი, რო საახალწლო ღონისძიებაზე თანხა დაიხარჯოს, 100 000 ლარი თავსდის 5000 სოციალურად დაუცველი გვყავს და უამრავი სხვა პრობლემა მას მოვახმაროთ.

**პ. გოგოლაძემ** საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ თუ შარშან ეს ღონისძიება დაჯდა 250 000 ლარი რატომ ვართ წინააღმდეგი რომ წელს მეტი დაიხარჯოს და უკეთ გავაკეთოთ დეკორაცია ეს ხომ დაგვრჩება მომავალი წლისთვის და გამოგვადგება მხარს ვუჭერთ ამ ღონისძიებების ჩატარებას.

**ქ. ზუმბაძემ** ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" თავმჯდომარის მოადგილემ აღნიშნა, რომ ღონისძიება უნდა ჩატარდეს მაგრამ ისე მოვაწყოთ, რომ გაისად აღარ დაგვჭირდეს ყიდვა, ჩავრთოთ ჩვენი ბავშვებიც, ჩვენი ანსამბლები.

**კ. გოგსაძემ** საკრებულოს წევრმა ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან" აღნიშნა, რომ ღონისძიება უნდა ჩატარედეს მაგრამ, ვიმოქმედოთ ჩვენი მუნიციპალიტეტის ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, სახელფასო ფონდი, რომ შეამცირეთ რის საფუძველზე, 60 ოჯახს გზა, რომ ჩაგვიწყდა 1 დღე ვითხოვეთ ტრაქტორი არ მოვიდა, არ არის მოსაწონი.

**ი. ალხაზიშვილმა** საკრებულოს წევრმა ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან"16 წლის წინ შევიძინეთ ჭურჭელი ან გადაიხუროს ის შენობა და არადა მომაცილეთ ის ჭურჭელი იქედან და კიდევ

ზვარეში უკიდურესად გაჭირვებული 2 მოქალაქე გვყავს, ნატო კიკნაძე და ზვიადი მაღრაძე იქნებ მათაც დაეხმაროთ. ყველას ეხმარებით ამ 2 ადამიანსაც მიაქციეთ ყურადღება.

**ვ . ჭიპაშვილმა** მერის პირველმა მოადგილემ უპასუხა კომისიას თუ რაიმე შეუძლია განიხილავს და მივეხმარებით.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი და მუხლობრივად

დააყენა ცვლილება კენჭის ყრაზე.

კენჭისყრაზე დადგა საკითხი **ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შემოსულობები 21 865 809** ლარი გაიზრდოს **580 000** ლარით და განისაზღვროს **22 445 809** ლარით.

**კენჭის ყრაში მონაწილეობას ღებულობდა საკრებულოს 26 წევრი**

**მომხრე 23**

**2 წინააღმდეგი**

**თავი შეიკავა 1**

**საკრებულომ გადაწყვიტა** დადგენილება მიღებული იქნეს (თან ერთვის).

კენჭისყრაზე დადგა საკითხი **ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის გადასახდელები 23 274 956** ლარი გაიზრდოს **580 000** ლარით და განისაზღვროს **23 854 956** ლარით.

**კენჭის ყრაში მონაწილეობას ღებულობდა საკრებულოს 26 წევრი**

**მომხრე 23**

**2 წინააღმდეგი**

**თავიშეიკავა 1**

**საკრებულომ გადაწყვიტა** დადგენილება მიღებული იქნეს (თან ერთვის)

კენჭისყრაზე დადგა საკითხი დამტკიცდეს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტი წარმოდგენილი ცვლილებებით.

**კენჭის ყრაში მონაწილეობას ღებულობდა საკრებულოს 26 წევრი**

**მომხრე 23**

**2 წინააღმდეგი**

**თავიშეიკავა 1**

**საკრებულომ გადაწყვიტა** დადგენილება მიღებული იქნეს (თან ერთვის)

ამით საკრებულოს სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და სხდომა დახურულად გამოცხადდა.

**საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი** **დავით კიკნაძე**